სამშაბათი, 9 თებერვალი 1910 წ. № 5

# ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელ... სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი· გაზეთის გამოწერა... ლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ქიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ულამბაშიძე შ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.
**ბედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.
**ზურქო ვ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.
**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.
**ფირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.
**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.
**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,
**სობოლევსკი ვ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—78)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღია ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695.

**ექ. ს. შაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.
**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.
**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.
**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.
**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.
**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ) და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.
**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—79)

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

ფ ე რ შ ა ლ ი

ლ ე ო ნ ტ ი ბ ა რ კ ა ლ ა ი ა

ცრისიყვავილს. იღებს ყელ-ჭირვების, ხუნაგის და ვენერული სენით ავათმყოფებს 3—6 საათამდის

ადრესი: გოგოლის ქუჩა, № 68.

კბილის ექიმი

## ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფნი 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

## პრესა

„პრესის სინდიკატის“ შესახებ კამათი ადგილობრივი გაზეთების ფურცელს არ სცილდება. უკანასკნელ ნომერში მეორეშაბათე რუსულმა „კურიერ“-მაც ამოიღო ხმა და ბევრი ისეთი რამ გამოაქვეყნა, რაც დღემდის მხოლოდ მის საიდუმლოებას შეადგენდა. რატომ დღემდის არ ამოიღო ხმა „კურიერი“-ს წერილის ავტორმა ბ. ტერ-ნერსესოვმა? ვინც წაიკითხავს მის წერილს დაგვეთანხმება, რომ ის ცნობები რაც მის განკარგულებაში ყოფილა, საკმარისი იყო იმისთვის, რომ მას ხმა ამოეღო; ამიტომ მისი თავის მართლება: „დღემდის ფაქტიური საბუთი არ მქონდაო“, უბრალო თვალის ახვევაა და მეტი არაფერი. ბ. ტერ-ნერსესოვის წერილი საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მასთან ერთად (იქნებ სხვებთანაც!) ყოველივე სცოდნია ბ. ქრელაევსაც, რომლის ბინაზე მოლაპარაკებაც კი მომხდარა მირზოევისგან წამოყენებული ზოგიერთი პირობების განსახილველათ. რატომ ბ. ქრელაევმა არ ამოიღო ხმა? ალბათ... მარა არა, დავიცადოთ კიდევ ცოტა. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის ფარდა აუხდელი, ბევრი რამ არის სინათლეზე გამოსატანი და როცა გამოირკვევა ყოველივე, რის გამორკვევაც კი საჭიროა, მაშინ ჩვენი გაზეთიც შესაფერ განაჩენს გამოიტანს. ახლა კი არ შეგვიძლია არ აღვნიშნო გოთუას გაზეთში მოთავსებული თ ბ. ტ—ძის წერილის ზოგიერთი ადგილები. ბ. ტ—ძე გვაცნობინებს:

ერთი თვის წინათ თფილისის ჟურნალისტების უპრინციპობაზე ვწერდიო.

მოდი და ნუ გაგეცინება! სტამბულში ბერი ცხენის თავი ჯაჭვით არის დამბულიო, რომ ამბობენ ესაა.

ბ. ტ—ძე და უპრინციპობაზე წერა! ყველაფერს მოესწრობა ადამიანი ამ „ცოდვილ ქვეყანაში“. ეს-ხომ ის ტ—ძეა, რომელიც ამას წინათ „გოლოს კავკაზს“ თანამშრომლებთან ერთად საერთო ნიადაგს ნატრობდა და მათთან ერთად მუშაობით „სამშობლოს აყვავებას“ გვპირდებოდა! ეს ხომ ის ტ—ძეა, რომელიც..... ერთი სიტყვით, რომელიც რომ ტ—ძეა.

ერთს კი, თუმცა გვიან, მარა მაინც მისაღებ წინადადებას იძლევა ბ. ტ—ძე:

> უკანასკნელმა „რაზობლაჩენიემ“ თვალი უნდა აუხილოს ყველა ჟურნალისტებს და სურვილი დაბადოს მათში, რომ გაიწმინდონ იმ ტალახიდან, რომელიც მათ მიადგა სხვადასხვა მეგაზეთე „პროხადიმცებიდან“-ო.

ამ რჩევა წინადადებას მიიღებდენ ჟურნალისტები—ჩვენი აზრით უთუოთ უნდა მიიღონ—მაშინ ეჭვი არაა იმ ტალახის მორევში, რომელიც მოსაწმენდათ აქვთ თფილისის ჟურნალისტებს, თუ პირველათ არა, მეორეთ მაინც გამოჩნდება „ნოვაია რეჩის“ იალქანებით პატარა გემი, რომელზედაც კაპიტანი უთუოთ თვით „ნოვაია რეჩის“ რედაქტორი ბ. გოთუა იქნება და ბ. ტ—ძე, თუ მის თანაშემწეთ არა, მატროსათ მაინც.

რაც უფრო მალე მოხდება ეს გაწმენდა, მით უკეთესი ჩვენი პრესისათვის. მარა გაწმენდა სერიოზული, და არა უბრალო დეზინფექცია.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 თებერვალი.

### სპარსეთი

**თავრიზი.** რახიმ-ხანის გაქცევის შემდეგ ეფრემი და ბაგადური შეუდგენ ყარადაღელების იარაღის აყრას. ეფრემის და ბაგადურის რაზმების თავრიზში დაბრუნება გადადვეს. მიუხედავათ იმისა, რომ რახიმ-ხანის მხრით აღარაფერი საშიში არ არის, სათარ-ხანის და ბაგირხანის ფიდაების იარაღის აყრაზე არაფერი ისმის. თავრიზში გაჩნდენ შეიარაღებული უმუშევრები, ბაზარში შიშიანობა.

### ოსმალეთი.

**კონსტანტინოპოლი.** დაასაფლავეს იერუსალიმის ყოფილი პატრიარქი ნიკოდიმი, რომელიც კუნძულ სალკისზე სცხოვრობდა. დასაფლავებას დაესწრენ ჩარიკოვი და საელჩოს მოხელეები.

### საზღვარ-გარეთ

**სერაევო.** დღეს მთელ მხარეში გამოცხადდა კონსტიტუცია. ქალაქი დროშებით მორთულია. უფროსმა წაიკითხა იმპერატორის რესკრიპტი. ბასტიონიდან ზარბაზნები დასცალეს.

**ათინა.** დეპუტატთა პალატა. დრაგუმისმა განაცხადა, რომ ყველა პარტიები თანახმანი არიან ნაციონალურ კრების მოწვევის კონსტიტუციის გასასინჯათ. როცა დრო იქნება პარტიების მეთაურები მოიწვევენ კრებას.

**ლონდონი.** მუშათა პარტიის და ირლანდიელების მოლაპარაკება დროებით შესწყდა.

**ბერლინი.** სანტ იაგოდან მოსულ ცნობებით ექიმი კუკი იქ სცხოვრობს თავის ცოლით, კრეგის გვარზე.

**პარიზი.** გავასის სააგენტო ამოწმებს, რომ აბაშეს ახლოს მოკლეს ლეიტენანტი მოდი.

**ბერლინი.** რეიხსტაგის პრეზიდენტ გრაფ შტელბერგის ავათმყოფობის გამო, მის მაგიერ დროებით აირჩიეს კონსერვატორი გრაფი შვერინლევიცი.

**რეიხსტაგი.** სოციალისტებმა საიმპერიო კანცლერისადმი შეკითხვა შეიტანეს, ლანდტაგში მისი განცხადების გამო რეიხსტაგის არჩევნების შესახებ. ს.-დემოკრატმა ფრანკომ სხვათა შორის ილაპარაკა პრუსიის საარჩევნო რეფორმის სასარგებლო დემონსტრაციის შესახებ და შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „ბრძოლა გაგრძელდება, საიმპერიო კანცლერი გადადგება (მარცხნით ტაშის ცემა). ინტერპელიაციაზე საიმპერიო კანცლერმა ვრცელი სიტყვით გასცა პასუხი, რომლითაც სხვათა შორის განაცხადა, რომ საყოველთაო, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრას ხსნა არ შეუძლია. რომ არც ის და არც მოკავშირე მთავრობები არ ფიქრობენ არსებულ საარჩევნო სისტემის შერყევას. ეს მხოლოდ უნდათ ინტერპელიანტებს, რომლებიც ცდილობენ ქალების საარჩევნო უფლების დაკანონებას და წლოვანობის ცენზის შემცირებას. (მარჯვნით ტაშის ცემა).

**ბერლინი.** გუშინ გარდაიცვალა რეიხსტაგის პრეზიდენტი გრაფი შტელბერგ-ვერნიგეროდე.

**ბლიუფილდისი.** გენერალ გენის ცნობით გუშინ სენვინტთან ბრძოლა ათი საათი გაგრძელდა. მთავრობის ჯარმა დიდი ზარალი ნახა და უკან დაიხია. გენერალ ესტრადეს დაავალეს შუამდგომლობა, რომ სისხლის ღვრა შესწყდეს.

**კაირო.** დღეს სამინისტროს ახლოს მინისტრ-პრეზიდენტ ბუტროს-ფაშას თავს დაესხა სტუდენტი და რევოლვერი ესროლა. მინისტრი მძიმეთ დაიჭრა. სტუდენტი დაიჭირეს.

**ბაქო.** პოლიციამ დაიჭირა ორი მძარცველი. მათზე ეჭვი აქვთ, რომ გაძარცვეს ცირკის პატრონი პერვალი, მოკლეს გოროდოვოი და სასტუმრო „ევროპას“ თავს დაესხენ.

სოფელ ლეიტამში მაჰმადიანებს შეტაკება მოუვიდათ. მოკლულია ორი, დაჭრილია ექვსი. წამაქეზებელი დაიჭირეს.

**რიგა.** საოლქო სასამართლომ 36 გლეხს 1905 წელს ბარონ შეგდენის და ველფის მამულების განადგურებისათვის. გადაუწყვიტა—სამს ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, 14-ს სატუსაღოში ჯდომა, სამს პალატაში დატუსაღება. გაამართლა 13, სამი გადამალულია.

**ხარკოვი.** 5 თებერვალს რაზიეზდ მელოდინასთან ეკატერინის რკინის გზაზე მატარებელში მყოფი 15 ახალგაზდა შეიჭრა იმ ვაგონში, სადაც მეარტელე იჯდა. გადააგდეს სამი ყუმბარა. აფეთქების გამო დაიმტვრა კასა, მოკვდა მეარტელე, მძარცველებმა გაიტაცეს ფულები. გააჩერეს მატარებელი გადახტენ და ტყეში მიიმალენ. მდევრები დაადევნეს.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო მოწვეულ იქნას 25 აპრილს პირველი სრულიად რუსეთის ესპერანტისტთა სიეზდი პეტერბურგში.

საღამოს ხუთ საათზე საფრანგეთის დელეგატები მივიდენ თავრიდის სასახლეში და მონაწილეობა მიიღეს რუსეთის საერთაშორისო საპარლამენტო ჯგუფის სხდომაზე.

**ვარშავა.** 14 ბრალდებულთაგან, რომელთაც 92,000 მანათის ყალბი ფულების გასაღებას აბრალებდენ, საოლქო სასამართლომ სამს გადაუწყვიტა ოთხიწლით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, შვიდს სამ წლი ნახევრით, ერთს ორი წლით და შვიდი თვით სატუსაღო, დანარჩენები გაამართლა.

**ვარშავა.** დელნი ქუჩაზე სამი უცნობი თავს დაესხა შერბინსკის ფაბრიკის მოსამსახურეს, წაართვეს 123 მ. და რევოლვერების სროლით გაიქცენ. მათ უკან გამოუდგა მეკარე, ესროლა და მოკლა ერთი მძარცველი, რომელსაც ფული მიჰქონდა.

**ჩემბორი.** ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა გადასდოს 300 მანათი ბედინსკის სახელობაზე სახალხო სახლის ასაგებათ.

**ეკუბრანოსლავი.** სადგურ გორიანინს და ეკუბრანოსლავის შუა საფოსტო მატარებლით მიმავალ სამთო წარმოების სააქციონერო საზოგადოების კასსირს, რომელსაც თან ორი დარაჯი ახლდა, თავს დაესხა ხუთი შეიარაღებული უცნობი. წაართვეს 10,000 მანეთამდე, სროლის დროს მოკლეს ერთი დარაჯი, ერთიც დასჭრეს, მძარცველთაგან მოკლეს ერთი.

**შემახა.** ღამით ორმა ბოროტ-გამზრახველმა მძიმეთ დასჭრა ბოქაულის თანაშემწე პარამანოვი, კასაგოცკი მსუბუქად. ბოროტ-მომქმედნი დაიჭირეს.

## რა არის საჭირო.

ჩვენ გავიგეთ, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოების მთავარ გამგეობას განუზრახავს ბ. ბატაილის თფილისიდან გაწვევა. თუ ეს მართალია, ბრიუსელში, ალბად, უკვე შეიგნეს, რომ ამ გაწვევით, ერთის მხრით ცოტათი მაინც დაკმაყოფილდება თფილისის საზოგადოებრივი აზრი,—მეორეს მხრით, ტრამვაის საქმის მიმდინარეობა უფრო წესიერ და უფრო კანონიერ კალაპოტში უნდა ჩადგეს.

რასაკვირველია, ბ. ბატაილის წასვლა გაანელებს საზოგადოების აღელვებას, დააკმაყოფილებს აღშფოთებულ სინდისს. რასაკვირველია, ბ. ბატაილის საქმიდან გადაყენება თვით ტრამვაის საქმეს წინ წასწევს, თვით წარმოებისთვის იქნება სასარგებლო, მაგრამ...

ბ. ბატაილი ერთი ტრამვაის ჩვეულებრივი დირექტორთაგანია. სხვა ყოფილი დირექტორებიდან ის განირჩევა მხოლოდ თავისი ახირებულობით, სიმარტივით, პირდაპირობით, მოურიდებლობით და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხაზ-გასმულობით; სხვაფერ ბატაილი ტრამვაის ტიპიური დირექტორია. არ ყოფილა თფილისში ბ. ბატაილი, მაგრამ ტრამვაის საქმე ისე მიდიოდა, როგორც ახლა მიდის. არ იქნება ბ. ბატაილი თფილისში, მაგრამ ტრამვაის საქმე ისე წავა, როგორც ახლა მიდის. ბატაილმა საკითხი მხოლოდ გაამწვავა. აი ამაშია, თუ გნებავთ, ბ. ბატაილის ერთად-ერთი დანაშაულობა. მართლაც, განა ბატაილამდის ტრამვაის დირექცია ერიდებოდა მცხოვრებლების ჯიბეებს? განა ვაგონები, ტორმოზები, ლიანდაგები, ხრეში და სახრეშეები და სხ. და სხ. რიგიანი და გამოსადეგარი იყვნენ? განა მუშების ინტერესები, მათი კანონიერი მოთხოვნილებები ადრედაც ისე არ ითელებოდენ ფეხ-ქვეშ, როგორც ახლა? მაშასადამე, აქ მარტო ბატაილში არ ყოფილა საქმე, და ვისაც ეს კითხვა აინტერესებს, მან უთუოდ საქმეს უფრო ღრმად უნდა შეხედოს, ძირითადი მიზეზები უნდა გამონახოს, ფესვებს უნდა ჩაუკვირდეს.

სუფთა ნიავი ტრამვაის არე მარეს ვერ გასწმენდს; პატარა ნაკადულით ტრამვაის ტალახის გაწმენდა არ შეიძლება; ერთი გაფუჭებული კბილის ამოძრობით ავათმყოფობა არ მოისპობა. საჭიროა გრიგალი, მჩქეფარე მდინარე, რომ ტრამვაი ერთიან გაიწმინდოს, გასუფთავდეს. საჭიროა მოვიხმოთ თვით ჰერკულესი, რომ ეს ავგიოსის საჯინიბო გასწმინდოს.

აუცილებლად უნდა შეიცვალოს ამ წარმოების მთელი სისტემა.

ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ ტრამვაის საქმე მოგებიანი იყოს; დაინტერესებული ვართ არა იმიტომ, რომ უსახელო საზოგადოების და მისი ბატონპატრონების ჯიბე გასქელდეს, არამედ მისთვის, რომ ჩვენთვის საჭიროა რიგიანი ტრამვაი, რიგიანობა კი დამოკიდებულია მოგებიანობისაგან. თუ წარმოება სარგებელს არ მისცემს მწარმოებელს, ის უთუოდ დაქვეითდება და ბოლოს ერთიან მოისპობა.

თუ ყოველი მწარმოებელი უნდა ცდილობდეს წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესებას და ამისათვის ფულის დახარჯვას არ უნდა ერიდებოდეს, ვინაიდან ტეხნიკაზე დახარჯული ფული მას შემდეგში თვით წარმოებიდან დაუბრუნდება,—მით უმეტეს ასეთი დიდი წარმოება, როგორც არის ტრამვაის საქმე, მწარმოებელმა ტეხნიკური მხრით თანდათან უნდა გააუმჯობესოს და ამით გაასარგებლიანოს იგი.

მწარმოებელი, რასაკვირველია, თავის ინტერესებზე ჰფიქრობს, მას უნდა რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს; სხვას ის არაფერს არ დაეძებს. გადავავლოთ თვალი ამ წერტილიდან თფილისის ტრამვაის საქმეს.

ელექტრონის სტანციას, საიდანაც მოძრაობას ენერგია ეძლევა, ბევრი ნაკლი აქვს და ამის მიზეზით ტრამვაის მოძრაობა ძლიერ ხშირათ სუსტობს, სუსტი მოძრაობა კი ნაკლებ შემოსავალს იძლევა.

ვაგონების სიცოტავის გამო, მგზავრები ხშირათ ადგილს ვერ შოულობენ, ვაგონის დიდი ხნის ცდა ეზარებათ და ზოგი ეტლით მიდის, ზოგიც კი ფეხით

ამჯობინებს წასვლას. რასაკვირველია, ტრამვაის ამით შემოსავალი აკლდება. ტრამვაის სახელოსნოში მუშათა რიცხვი მცირეა, ამისათვის, ვაგონების გაკეთება-შეკეთებას ვერ ასწრებენ; მოძრაობა ნაკლებია, და შემოსავალიც მცირდება.

ბევრ მასალას, რომელსაც ერთიან და დიდი სავაჭრო სახლებიდან უნდა ყიდულობდენ უფრო იაფად და უფრო კარგი ხარისხისას, ყიდულობენ წვრილ ვაჭრებთან უფრო ძვირათ და უფრო უვარგისს. მის მაგიერ, რომ ტორმოზები ახალი სისტემის შემოიღონ და ამით თავიდან აიცდინონ უბედური შემთხვევები, სჯერდებ ან ძველ ტორმოზებს; რიგიანი და უზიანო ვაგონების მაგიერ პარკიდან სამუშაოდ გამოყავთ დაზიანებული ვაგონები; მოძრაობის წეს-რიგი: ზოგიერთ საათებში, როდესაც ხალხის მისვლა-მოსვლა მომატებულია, და ვაგონების რაოდენობაც გაძლიერებული უნდა იყოს, ვაგონების სიცოტავეა და, როდესაც მისვლა-მოსვლა კლებულობს, და ვაგონებიც უფრო ცოტაა საჭირო, მათი რიცხვი მოთხოვნილებას აჭარბებს;—აქედან წარმოსდგება: 1-ლ შემთხვევაში შემოსავლის შემცირება, მეორესაში კი—გასავალის უმიზნოთ გადიდება. ბილეთების მთავარ კასიდან გამოშვება არ არის დაყენებული რიგიანად და ხშირად მთავარ კასიდან იკარგებოდა დიდძალი ბილეთები და „მიმხედავი“ კი პატრონი კაცი არ იყო. სახელოსნოში ხშირად ისეთი „ინჟენერები“ ყავთ ხოლმე, რომლებსაც ტეხნიკის არა ესმით რა; ამასთანავე, იქვე ისეთი ზედამხედველები და ტეხნიკები ყოლიათ, რომლებიც თავის სამსახურს და გავლენას თავის პირადი ინტერესებისათვის ხმარობდენ ხოლმე, და ტრამვაის ზარალს აძლევდენ. ერთი სიტყვით, ტეხნიკის გაუმჯობესობაზე, წარმოების ნამდვილი ნტერესებზე არავინ არ ფიქრობს, და ბატაილებს ჰგონიათ, რომ თუ მუშებს ტრამვაის უსასყიდლო ბილეთები ჩამოართვეს ან და ორი შარვალის მაგიერ თითო-თითო დაურიგეს, ან კიდევ თუ რომელიმე მუშა უდროოთ და ულაზათოდ დაცხინკებისთვის „სამსახურის დროს“ ათ-ათი შაურით დააჯარიმეს,—ყოველივე ამითი ააყვავებენ ტრამვაის და უსახელო საზოგადოების მოგებას ასწევენ.

არა ერთხელ მიუმართავთ ტრამვაის მუშებს, როგორც მოძრაობის, აგრეთვე პარკისას, განცხადებებით, ვრცელი მოხსენებებით, სადაც იგინი უთითებდენ დირექციას, მთავარ გამგეობას და აგრეთვე, წარსულ ზაფხულში, ნამესტნიკის მიერ დანიშნულ მოსარიგებელ კომისიას, ყოველივე ზემოდ ჩამოთვლილ ტრამვაის საქმის უწესოებებზე; არა ერთხელ გამოუაშკარავებიათ მათ ზედამხედველების, ინჟენერების, ტეხნიკების, ტრამვაისთვის საზარალო საქციელი და ბოროტ-მოქმედებებიც კი, მაგრამ, უმეტეს შემთხვევებში, მათი ხმა დარჩენილა ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ხშირად უთქვამთ მუშებს დირექციისათვის: მართალია, ჩვენი და თქვენი ინტერესები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან: თქვენ გსურთ მეტი გვამუშავოთ და ნაკლები შრომის ქირა გვაძლიოთ, ჩვენ კი გვინდა, რომ შრომის ფასი, შრომის რაოდენობას და ღირსებას უსწორდებოდეს; აქ ჩვენ ვიბრძვით, მაგრამ ნუ ჰფიქრობთ, რომ ჩვენ გვინდოდეს წარმოების დაქვეითება, მისი დაღუპვა,—წარმოება ჩვენთვის საჭიროა, ამისათვის მიაქციეთ ყურადღება ჩვენ კანონიერ მოთხოვნილებებს, მიიღეთ ზომები, რომ ჩვენგან ნაჩვენები ტრამვაის ნაკლულოვანებები მოსპობილი იყოსო.

რას და რით უპასუხებს ხოლმე დირექცია?

დირექციის ყოველი ფიქრი და აზრი მიმართულია მუშების ინტერესების გასათელად. ფაქტიურად უკლებენ ჯამაგირებს; ფაქტიურად ადიდებენ სამუშაო დღეს; ართმევენ მუშების ოჯახებს უფასო ბილეთებს; უსპობენ ოჯახებს საექიმო დახმარებას და წამალს, სულ უბრალო რამესათვის აჯარიმებენ, აჯარიმებენ განუკითხავად, განუსჯელად. საკმარისია ზედამხედველი დილას „მარცხენა ფეხზედ ადგეს“ რომ მან პარკში რომელიმე მომუშავე დასაჯარიმებლად წარადგინოს; საკმარისია კონტროლიორს არ მოეწონოს რომელიმე ვატმანი ან კონდუქტორი, რომ მან ის დასაჯარიმებლათ წარადგინოს და დააჯარიმებინოს, ჯარიმა ერთი, ჯარიმა მეორე—და მესამეზე ადგილიდან დაითხოვენ. არის შემთხვევები, როდესაც პირველ დაჯარიმებაზევე დაითხოვენ ადგილიდან. დიახ, განუკითხავად, განუსჯელად. ღირს-შესანიშნავია ის გარემოება, რომ თვით ბ. ბატაილი,—გესმით, თვით ბ. ბატაილი,—იძულებული შეიქნა გამოეცა ბრძანება, რომ კონტროლიორები მიუდგომლად მოქმედებდენ.

რამდენი ახალი დირექტორი ჩამოვა, იმდენი ახალი პირობებია გამზადებული მუშებისათვის. მუშებმა არ იციან, რომელ პირობაზე შეჩერდება დირექცია,—სად არის გასმული ხაზი შესაძლებელ და შეუძლებელ პირობებს შორის; არ იციან, სად თავდება კანონიერება და სად იწყება უკანონობა. მიუხედავათ ამისა, მუშები სთანხმდებიან ყოველგვარ პირობაზე, ვინაიდან მათ არ აქვთ კანონიერი ბრძოლის უფლება, და კანონმა თუ უფლება მისცა, არ აქვთ საშვალება ამ უფლების გამოყენების. მუშა უნუგეშო მდგომარეობაშია, ის სასოწარკვეთილია. მან არ იცის „რას მოუტანს მას ხვალინდელი დღე“; ის არ არის დარწმუნებული, რომ მას ხვალ სულ უმიზეზოთ ან სულ უბრალო მიზეზისათვის ადგილიდან არ დაითხოვენ. კონდუქტორი ბილეთებს არიგებს და ჰფიქრობს: შეიძლება ხვალ რომელიმე „დიდ ღმერთს“ არ მოეწონა ჩემი შავი თვალები და უმუშევართა რაზმში გადაისროლოსო. ვატმანს ვაგონი მიყავს და თან მოსალოდნელი უნუგეშო, ულუკმა-პურო ხვალინდელი მისი ოჯახის მდგომარეობის სურათი სულს უხუთავს; და სხ. და სხ.

საკითხავია: ასეთ მდგომარეობაში მყოფ მუშას შეუძლია თუ არა დააფასოს ის წარმოება, რომლის ბორბალს მისი ოფლი და სისხლი ატრიალებს? შეუძლია თუ არა ამისთანა მუშას იფიქროს წარმოების გაუმჯობესებაზე? გვაქვს უფლება მოვთხოვოთ მუშას, რომ ის დაინტერესდეს ამისთანა წარმოებით?

რა უნდა ითქვას იმ მწარმოებელზე, რომელიც მუშებს ამისთანა მდგომარეობაში აყენებს?

და ღირსნი არიან, მადლობის თუ არა, ყურადღების მაინც, ის მუშები, რომლებიც, მიუხედავათ ასეთი აუტანელი მდგომარეობისა, მაინც წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესებაზე და საზოგადოთ მის მოწესრიგებაზე ჰფიქრობენ და ელაპარაკებიან მწარმოებელს.

და რომ ყოველივე ეს ასეა, ამის უტყუარი საბუთები ჩვენ ხელთ გვაქვს.

ჩვენ მხოლოდ ერთ კითხვას მივცემთ უსახელო საზოგადოებას: გითხრესთ თუ არა მუშებმა: თუ გნებავთ უბედური შემთხვევები თავიდან აიცილოთ, რომლებიც თქვენგან ძლიერ დიდ ხარჯს იწვევენ დასახიჩრებულთა ფულით დაკმაყოფილების სახით, გააუმჯობესეთ ტეხნიკა, გააწესრიგეთ საქმეებიო? ამას „საზოგადოება“ ვერ ივარებს.

ბელგიის უსახელო საზოგადოებას დღემდის ჩხირ-კედელაობის მეტი არა გაუკეთებია რა. ის გაეხვია წვრილმანებში და მთავარ, სერიოზულ კითხვებს ყურადღებას არ აქცევს; ის ხეებს იქით ტყეს ვერ ხედავს. მას ჰგონია, რომ ესა თუ ის დირექტორი გააუმჯობესებს წარმოების საქმეს და ყოველ წელს სულ ახალ-ახალ დირექტორებს აგზავნის თფილისისაკენ. აბა, ერთხელ მაინც მიუქცევია მას ყურადღება წარმოების დაქვეითების მთავარ მიზეზებზე? ერთხელ მაინც აუხდია ფარდა ტრამვაის კანტორისათვის და ჩაუხედავს მთავარი მოსამსახურეების მოქმედებაში? ერთხელ მაინც მიუქცევია ყურადღება ახლანდელი ვიცე-დირექტორ ბ. გისისათვის, ამ ტრამვაის ბოროტი სულისთვის (злой геній), როგორც მას ზოგიერთები ეძახიან? იცის მან თუ არა, რომ ინჟენერი იზამბერი—ეს ის ინჟენერია, რომელიც მარიუპოლის მაღაროების ზედამხედველათ იყო, სადაც შარშან დიდი უბედურება მოხდა, რამდენიმე ასი მუშა იმსხვერპლა და რომელიც ამის გამო იქიდან დათხოვნილი იყო? იცის თუ არა მან ვინ და როგორ ატრიალებს ტრამვაის კანტორის საქმეებს?

არა, უსახელო საზოგადოება ვერ გააუმჯობესებს ტრამვაის საქმეს, ვერც ხმოსნების და ჟურნალისტების მოყიდვით, ვერც ბატაილების დანიშვნა-გადაყენებით, ვერც გროშური ეკონომიით, ვერც უკანონო შაურიანებით, ვერც გისების „მოხსენებებით“. უსახელო საზოგადოებამ უთუოდ გვერდი უნდა შეუქციოს პრინციპს: ერთი დღე, მაგრამ ჩემი; მან ამ ერთ დღეს უნდა გადააბიჯოს და დღევანდელ უკანონო და არა საიმედო შაურიანს ხვალინდელი კანონიერი და შეურყეველი კაპეიკი უნდა ამჯობინოს: ეს მას მეტ სარგებლობას მისცემს; მან უთუოდ წარმოების მთელი სისტემა უნდა შესცვალოს, ტეხნიკის გაუმჯობესობას მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს, შესცვალოს მუშებთან დღეს-არსებული შურისმაძიებელი დამოკიდებულება. ერთი სიტყვით, მან უნდა ერთხელ და სამუდამოთ დასტოვოს ძველი, უვარგისი და მისთვისვე საზარალო გზა და ახალი გზით იაროს.

ტრამვაის წარსული უნდა ამოიხოცოს თფილისის ხსოვნიდან.

დასასრულ ჩვენ ვიტყვით: გსურთ მოაშოროთ თფილისს ბ. ბატაილი? კეთილი გააყოლეთ მხოლოდ ბ. ბატაილს მთელი მისი ამქარი: ბ-ნნი: გ-სი, იზამბერი და ძმანნი მათნი. ახალი სისტემით აწარმოეთ საქმე და ახალ სისტემას ახალი მომუშავენი მიუჩინეთ.

თფილ. ქალ. თვითმართველობა ვალდებულია ყოველივე ეს აცნობოს ბელგიის უსახელო საზოგადოების მთავარ გამგეობას ბრიუსელში. ის ვალდებულია ვრცელი მოხსენებით მიმართოს ამ კითხვის შესახებ ბრიუსელს.

იკა.

# დედა

იდუმალი ხმა, გაურკვეველი,
ყოველთვის. ყველგან მარად თანამდევს
და დაჟინებით ყურში ჩამძახის
ხალხში თუ მარტოთ მშობლიურ ამბებს.
ეგ სიმღერაა ალბათ დედისა,
აკვნის ნანინა გულს ჩასახული,
მასში იხატვის სევდა გულისა,
ჩემი სახლკარი, შემოძარცვული.
ქარის სისინი შუაღამეზე,
ირგვლივ სიჩუმე, ბნელი უკუნი,
ერთგული ძაღლის ყეფა დრო და დრო,
მეზობლათ წყაროს ტკბილი დუდუნი.
სამუშაოზე ლუკმა-პურისთვის
შორს წასულია მამა ოჯახის...
ყველა ამაზე მიამბობს ალბათ,
იდუმალი ხმა ყურს რომ ჩამძახის!..

—

დადუმებულა მიდამო ტკბილი,
ამწვანებულან მთანი და ველი,
და ამ დუმილში შორს, სერზე, ობლათ,
მოთქმა გაისმის გულის დამწველი!
ღამის გუშაგი დინჯათ გასცქერის
სოფელს მდუმარეს, არეს ტიალს,
და პირისახეს სხივთ აჭრის ბღდომათ
შორს სერზე მდგომსა ვიღაც მტირალსა!
დედა იქნება!.. შვილს მოსტაცებდენ,
ტკბილსა პირმშოსა, თავის იმედსა,
მწარეთ გასძახის მიდამოს ყრუსა,
მთვარეს, ვარსკვლავებს, უჩივის ბედსა!
ვინ-და უსმინოს? ვინ-და შეაშროს
მას თვალზე ცრემლებს ანადინებთა?
რით გაიხარონ მისებრ ანატირთ,
ქვეყნის დაჩაგრულთ და ტვირთ მძიმეთა?
ვით ოკეანე, ღრმა არის სევდა,
დაუდგომელი, ვით ტალღა ზღვისა,
მეტათ გულწრფელი მშობლის ცრემლები,
გულის დამდონი, მოთქმა დედისა!..

—

ხალხში იტყვიან, ვიღაცამ მხამი
გველით მოშხამულს ამოუწოვა,
გადაარჩინა, თვით მოიშხამა
და ააღდინა თავიდან გლოვა.
მოშხამულ ისარს სულთამხუთავის
რწმენით დაუხვდა, წინ მიეგება
და ამ ამბავსა სამაგალითოს
თვით პოეტებმაც უმღერეს ქება!..
ვინ იქნებოდა? ვინ ჩაიდინა
საქმე დიადი, საქმე გმირული?
ისევ დედამ!—უსაზღვრო არი
მის სიყვარული, თავგანწირული!..

იასამანი.

## ახალი ნაკადული სახალხო განათლების საქმეში

(ქუთაისში სახალხო უნივერსიტ. გახსნის გამო)

განმათავისუფლებელ მოძრაობის მიწურულში ოფიციალურათ შეკვეთილ საქმეს, დღეს, 1910 წელს, მიეცა მისი ფაქტიური დასაწყისის სახე. ეს იყო სახალხო უნივერსიტეტების მოწყობა ქუთაისში სხვა ქალაქების დაგვარათ. მიმდინარე წელს, როგორც იქნა, წილად ხვდა ამ სახალხო კულტურულ დაწესებულებისათვის საფუძვლის ჩაყრა.

31 იანვარს სახალხო უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა მიერ მის გახსნისათვის სადღესასწაულოთ დანიშნულ დღეს თითქოს ბუნებაც შეხაროდა, რომ მზის სინათლით გაენათებინა იმერეთის დედაქალაქი ქუთაისი და მის შვილთაგან მოწყობილ დღესასწაულს ისიც თავის სიმშვენიერით ამ დიად სახალხო დღეს მხარს უმშვენებდა. ყველა, დიდი და პატარა, ნასწავლი და მოსწავლე, ინტელიგენტი და ასე გასინჯეთ ბევრი ჩინოვნიკობაც კვირას დილიდან მიეშურებოდა ქალაქის თეატრში, რომლის ქუჩის პირა კედელზე ვარდებით და ხის ცოცხალი ფოთლებით ქართული მსხვილი ასოებით შემდეგი წარწერა გამოეყვანათ ფერმის სამეურნეო სკოლის მოწაფეებს: „სახალხო უნივერსიტეტის დასაწყისის დღე“. კასის კარებთან ერთი ვაიუშველებელი იყო ბილეთების ყიდვისას; 11 საათზე უკვე გამოირკვა, რომ კასაში ბილეთები აღარ იყო და ამ დღესასწაულზე დასწრების მოსურნე ძალიან ბევრნი გამობრუნდენ გულდაწყვეტილნი. 12 საათზე კი თეატრში მიმსვლელები ერთი მეორეს აბრუნებდენ და ეუბნებოდენ: სადღა მიდიხართ, ბილეთები კაი ხანია გამოილიაო და მართლაც, რაც თეატრში მაყურებლები იყო, ერთ იმდენზე მეტი გარეთ დარჩა.

სწორეთ 12 საათი იყო, რომ თეატრის ფარდა აიხადა და სცენაზე გამოჩნდა გამოწყობილი ათამდი სახ. უნივერსიტეტის გამგეობის წევრები, რომელთაგან ერთი უხუცესთაგანი მათი თავმჯდომარე მოსე ქიქოძე გამოეყო ჩამწკრივებულ ამხანაგებს, და მოწიწების ხმით გამოაცხადა: დღევანდელი დღე დიდებული დღეა ჩვენს ცხოვრებაშიო; დღეს საფუძველი ეყრება ისეთ სახალხო კულტურულ საქმეს, რომლითაც წინ წასული ერები კაი ხანია სარგებლობენ და ჩვენ კი მხოლოდ შევნატროდით მათ. დღეს ამ სანატრელს საქმეს ქუთ. ჩვენც მოვესწარით და გისურვებთ, რომ მას თვისი წმინდა დანიშნულება პირნათლათ შეესრულებინოს თქვენის თანაგრძნობით და მისი ხელმძღვანელების დაუღალავი შრომით.

შემდეგ, ამ სახალხო დღესასწაულის მახარობელ მოხუცს გულმა აღარ მოუთმინა და მოკლე, დროს შესაფერათ დახასიათებულ სიტყვაში, განმარტა ამ სახალხო სამეცნიერო დაწესებულების მნიშვნელობა და უსურვა მოზარდ თაობას და სკოლის გარეშე დარჩენილ მშრომელ ხალხს, რომ ამ საქმეს გულმოდგინეთ მოკიდებოდენ და შეეძინათ აქაურ უანგარო მოღვაწე მასწავლებლებისაგან ის საამდროვო, სამეცნიერო სწავლა, ურომლისოდაც დღეს ცხოვრებაში ადამიანი არ ვარგა; უსურვა დამსწრეთ, რომ ჩვენ შორის დღეს ასე დაცემული სოლიდარობა, მოყვასისადმი სიყვარული აღორძინებულიყოს და ახალგაზდობას მეცნიერების საშუალებით მტკიცე ხასიათი გამოემუშავებინოს...

ბ. ქიქოძე დამსწრე საზოგადოებამ კაი ხნის ტაშის ცემით დააჯილდოვა და იმანაც თვისი როლი ახალგაზდა ლექტორს „ფონი“-ს რედაქტორს დაუთმო. ბ. გიორგაძემ მოკლეთ და მკაფიოთ ზეპირათ წარმოთქმული ლექცია წაიკითხა სახალხო უნივერსიტეტების განვითარებისა საზღვარ-გარეთ, რუსეთსა და ჩვენში. მკვახე და გულის მოსაფხან სიტყვებით დაახასიათა მან ის ეკლიანი გზა, რომლის გაკაფვა დღევანდელ წყობილებაში მოელის ამ სახალხო საქმეს ჯერ რუსეთში და შემდეგ ჩვენში, სადაც ამ სამეცნიერო ტაძარს უმზგავსო პოლიტიკანობა მოახვიეს თავს და ადგილობრივ ენებზე კითხვის ნებაც აღარ მისცეს ხალხის მეცნიერების საშუალებით გათვითცნობიერების გულწრფელ მოღვაწეთ. სახალხო უნივერსიტეტების განვითარების საქმეში ეს სულის შემხუთავი ტენდენცია წითელი ძაფით იყო გატარებული და მოხდენილის შედარებებით იყო დახასიათებული ახალგაზდა ლექტორის ლექციაში, რომელმაც აგრეთვე ხანგრძლივი ტაშისცემა გამოიწვია დამსწრეთაგან. დღეს ეს ლექცია ისტამბება ადგილობრივ გაზ. „ფონში“.

შემდეგ ექიმმა, გრ. ნასარიძემ, დალაგებული ქართულის ენით ზეპირათვე წაიკითხა ლექცია გიგიენიდან ასეთ თემაზე: „პური და ჭავა“, რომელიც, მართალია, უფრო საქირდავათ მოსულ დიპლომიან-კაკარდოსნების და მოარშიყე მანდილოსნებისათვის მოსაწყენი იყო, მაგრამ სახალხო სარგებლიანობის მხრით ლექციათ უნდა ჩაითვალოს. მან თავის ლექცია ბოლოს ასე დაამთავრა: რაც მეტათ შევისწავლით, რაც მეტათ გავიცნობთ ბუნებას, ცხოვრების კანონებს, მით მეტი აზრი ექნება და მით მეტი მომხიბლველი იქნება ჩვენი [illegible] მგოსნის გრიგოლ ორბელიანის სიტყვები, რომლებიც მას ბუნების სიმშვენიერემ ამოხადა პირისაგან: „ღმერთო! ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს, მისს ფერუთვალავ მშვენებას? სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ბადავ ცხოვრებას“...

მართალია, რუსულ ლექციების შეჩვეულ ქართველის ყურს ძალიან ეხამუშება ქართულ სამეცნიერო ლექციების მოსმენა და იგი გულაცრუებული უსმენს მას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ქართულ აზროვნების შეჩვეული და ქართულ ატმოსფერაში აღზრდილი ხალხი უფრო გულმოდგინე მსმენელი იქნება ქართულ ენაზე მკითხველ ლექტორებისა. და აი ის ახალი ნაკადული, რომელიც დღეს ჩვენ ცხოვრებაში იწყებს დენას, დარწმუნებული ვარ მეტათ გაანაყოფიერებს იმ ყამირ ნიადაგს, რომელზედაც სამუშაოთ ეს სახალხო უნივერსიტეტი იწვევს მის ხელმძღვანელებს. ამიტომ გვმართებს მეტი გულმოდგინეთ ხელის შეწყობა ამათი.

ამიტომაც საჭიროა, მიუხედავათ იმისა, რომ ქართულ ლექციებისადმი (ნამეტურ სამეცნიეროსი) ქუთათურ ინტელიგენტ და პოლუინტელიგენტ ქალ-ვაჟთა შორის გულგრილობას, ალმაცერათ ყურებას დაუბუდნია, რაიც ერთხელ კიდევ დამტკიცდა. 31 იანვარს სახალხო უნივერსიტეტის გახსნის დროს, როცა მოარშიყე ქალიშვილები და თავ-მომწონე მანდილოსნების ერთი ნაწილი ლექციების კითხვის დროს სულ სიცილისა და ერთი მეორის ჰყანვაში კლავდენ დროს, ხოლო მოლილიანი ინტელიგენტნი კი ფოიეში ხუმბრობ-ოხუნჯობით იქცევდენ თავს და ზოგიც სულ გაიქცა თეატრიდან,—მიუხედავათ ასეთ გულგრილობისა ამ სახალხო ახალი საქმის ხელმძღვანელთ დიდი ენერგია და შრომა მართებთ, რომ ნასწავლთა ეს არ მოსაწონი სენი ხალხს არ გადასდოს და მათში თვითშეგნება გაიღვივონ. ეს მით უფრო მოსახერხებელია, რომ ლექციები ქართველ ხალხისთვის ხელმისაწდომ ენაზე იკითხება, რაც თფილისივით აქ მაინც აკრძალულათ არაა მიჩნეული.

კარგი იქნება აგრეთვე, რომ სახალხო უნივერსიტეტის ხელმძღვანელნი აღმოაჩენდენ იმდენ საშუალებას, რომ საუკეთესო, პოპულიარულათ დაწერილ ქართულ სამეცნიერო ლექციებს დაბეჭდდენ ხოლმე ადგილობრივ გაზეთ „ფონში“, რომელსაც პროვინციალურ გაზეთების შესაფერისათ დღევანდელ პირობებში უკვე ყავს მოპოებული მკითხველები იმერეთში, რომლის მკვიდრთ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი უნდა ემსახურებოდეს. ლექციების დასტამბვა უფრო მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს სახალხო უნივერსიტეტის საქმეს, გააორკეცებს, გააძლიერებს ხალხში-სწავლა-ცოდნის გავრცელებას, და ვინც თვით ლექციებს ვერ დაესწრება, თუ ხელმოკლეობით, თუ სიშორის ან სხვა მიზეზის გამო, იგი ქუთაისში წანაკითხ გაზეთში ამოიკითხავს და კიდევ უფრო შთაინერგავს გულსა და გონებაში. ამიტომ, საჭიროა ეს საკითხი ახლავე დაყენდეს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობაში და შესაფერი პასუხი გასცეს მას.

ისო.

# ახალი ამბები

**პანაშვიდი.** გუშინ, 1 თებერვალს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი ყოფილ დეპუტატის ს. ჯუღელის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდს დაესწრენ განსვენებულის მეგობრები და ნათესავები.

◆ **ვერის კატასტროფის საქმის მოსპობა.** როგორც „კავკაზი“ გადმოგვცემს გამომძიებელს ვერის კატასტროფის საქმე მოსასპობათ წარუდგენია, რადგან დამნაშავე პირები ვერ აღმოაჩინესო.

◆ **მირზოევის პასუხი.** ყოფილ ხმოსანს მირზოევს ქალაქის გამგეობაში განცხადება შეუტანია იმის შესახებ, რომ ის უარს ამბობს „პრესის სინდიკატი“-ს საქმეში თავი იმართლოს. ამ განცხადებას ქალაქის გამგეობა საბჭოს წარუდგენს განსახილველათ.

◆ **ხმოსან ა. ახნაზაროვის საქმე.** ქალაქის გამგეობამ იურიდიულ კომისიას

განსახილველათ გადასცა ა. ახნაზაროვი, როგორც კერძო ვექილი, საქმეებს აწარმოებს ისეთ კლიენტებისა, რომელნიც ქალაქს უჩივიან ხოლმე. იურიდიულ კომისიამ უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენათ შესაფერისია ხმოსნისათვის ასეთ საქმეების წარმოება.

**დიდუბის სამკითხველო.** კვირას, 7 თებერვალს, აკურთხეს დიდუბის ბიბლიოთეკა-სამკითხველო. კურთხევას დაესწრენ წერა-კითხვის გ. საზოგადოების, ქალაქის თვითმართველობისა და ადგილობრივი რუსულ-ქართულ რედაქციების წარმომადგენლები და სხვა. დღის შესაფერი სიტყვები წარმოთქვეს წ. კ. საზ. გამგეობის წევრმა ლ. ბოცვაძემ, ქალაქის გამგეობის წევრმა ნ. ე. არგუთინსკიმ და ე. გულისაშვილმა. კურთხევას ხალხი ბლომათ დაესწრო, უმეტესათ მუშები, ბიბლიოთეკა კარგ ადგილას და სუფთა ოთახშია მოთავსებული. წიგნები ბლომათაა. სანამ ბიბლიოთეკა მატერიალურათ არ გამაგრებულა, იმედი აქვთ, ადგილობრივ გაზეთებს უფასოთ მიაწვდიან სამკითხველოს,—ერთი წლის განმავლობაში მაინც.

**სასულიერო სემ. მოწაფეთა შეპყრობა.** კვირას, 7 თებერვალს, მიდამო „ვაკეში“ პოლიციამ შეიპყრო 15 მოსწავლე-სემინარიელი. შეპყრობილნი მეტეხს ციხეში გაგზავნეს.

**გადამდები ავათმყოფობა აბანოებში.** ქალაქის მ-5 უბნის ექიმმა, ტ. მ. თათევოსიანცმა ქალაქის ფერშალ იგანეზოვთან ერთათ 5 და 6 თებერვალს დაათვალიერა თფილისის ყველა აბანოები და აბანოების მოსამსახურეთა ჯანმრთელობა შეამოწმა. ავათმყოფები აღმოჩნდენ „ირაკლის“ აბანოში—6 კაცი.—აბანო «ფანტაზიაში»—1 კაცი.—ცოვიანების აბანოებში—4. სუმბათაშვილებისაში—4. ბებუთოვისა—4. მირზოევებისაში—6. ამ ნაირათ 188 შემოწმებულ მოსამსახურეთაგან გადამდები ავათმყოფობით (სიფილისი, მუწუკები და თვლების ავათმყოფობა) ავათ ყოფილა სულ 21 კაცი. ავათმყოფებს მორჩენამდე სამსახური აუკრძალეს. ქალაქის სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის აბანოების მეპატრონეთ სამართალში აძლევენ. ამ სავალდებულო დადგენილებით მათ ევალებათ ყოველ თვიურათ თავიანთ ხარჯით მოიწვიონ ხოლმე ექიმი და მოსამსახურეთა ჯანმთელობა შეამოწმეინონ.

**რახიმ ხანის ჩამოსვლა.** 1 თებერვალს ეკატერინოდარში ჩამოვიდა სპარსეთის ცნობილი რეაქციონერი, ყოფილ შახის მომხრე—რახიმ ხანი. უკანასკნელ შეტაკების დროს ის დამარცხებულ იქმნა ეფრემისა და ბაგირხანის მიერ. დამარცხების შემდეგ ის სპარსეთიდან გამოიქცა და რუსის ჯარს იარაღი გადასცა თფილისში. ქალაქ ეკატერინოდარში რახიმ ხანი სასტუმრო „ევროპაში“ დაბინავდა. მას თან ახლდა როტმისტრი სუხოტინი, თარჯიმანი და ოთხი სხვაც. 11 საათზე რახიმხანმა ინახულა ყუბანის საოლქო სამმართველო და თავისს ამალით გენერალ-მაიორს კოსიაკინს წარუდგა. რახიმ ხანს გადაუწყვეტია—ეკატერინოდარში სამუდამო ბინა იქონიოს. როტმისტრი სუხოტინი და თარჯიმანი თფილისში დაბრუნდენ. კ. კ.

**მკვლელობა.** შაბათს, 6 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ანდრეევის ქუჩის შესახვევში, საკუთარ სახლში № 2, ვიღაც უცნობმა ოთხი ტყვით სასიკვდილოთ დასჭრა ამიერ კავკასიის რკინის გზის კონდუკტორი ა. ჯულელი 42 წლისა. იმ დროს, როცა ა. ჯულელი თავიის ცოლთან ერთათ სახლში შედიოდა, ვიღაც უცნობი—19—20 წლისა, სახლის აივანზე ავიდა და ჯულელს წერილი გადასცა, რომლითაც ჯულელს თხოვდენ ფულს. ჯულელმა უცნობს უარი უთხრა. უცნობმა მას ხუთჯერ სედიზედრევოლვერის ტყვია დაახალა ერთი, ააცდინა, ოთხით დასჭრა. უცნობი მიიმალა ჯულელი საავათმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა.

**დაკარგული მოსწავლის დაბრუნება.** თფილისში მამასთან დაბრუნდა რეალურ სასწავლებლის მოსწავლე თფ. მოქალაქის ა. სოლოვიოვის შვილი. როგორც მას უთქვამს, ის რამდენიმე უცნობს დაუჭერია თფილისში და ყარსის გზაზე წაუყვანიათ. ბოროტ-მოქმედებს უნდოდათ მამაჩემისთვის ფული მოეთხოვათ ჩემ გამოსასყიდათ, მაგრამ, რადგან დაარწმუნე ისინი, რომ მამაჩემს ფული არ ქონდა, გამანთავისუფლეს.

**ოსტროვსკის პასუხი.** როგორც ვიცით, ქალაქის გამგეობამ წინადადებით მიმართა „ზ. ჩ.“-ს თანამშრომელს ასტროვსკის, ეცნობებია სახელდობ, თუ რომელი ხმოსანი ყავს სახეში, როცა მას თავის წერილში რამდენიმე ხმოსნის ზნეობაპატიოსნებაში ეჭვი შეაქვს. ქალაქის გამგეობამ ოსტროვსკის პასუხი მიიღო, რომლითაც ის გამგეობას აცნობებს, რომ მას სახეში ყავდა ხმოსნები, რომელნიც სხვადასხვა სავაჭრო და საზოგადო დაწესებულებებს სათავეში უდგანან, სხვათა შორის, იხსენიებს ხმოსან ჰრელაევსა და რამდენიმე სხვას.

**ს. მაჭავარიანის მეორეთ გამართლება.** გუშინ თფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია ს. მაჭავარიანის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა ბროშიურის „ვინ არის ხალხის მტერი,—სოც. დემოკრატები, თუ ფედერალისტები»? შედგენა-გამოცემა და გავრცელება. ერთ ხელ ეს საქმე უკვე გაარჩია თფ. პალატამ და გაამართლა მაჭავარიანი, მაგრამ პროკურორმა პროტესტი გადიტანა სენატში და სენატმა საქმე ხელ-მეორეთ გასარჩევათ დააბრუნა.

სასამართლომ მაჭავარიანი მეორეთაც გაამართლა.

**სილ. ივანაძის საქმე.** 11 თებერვალს, ბათუმში სამხედრო სასამართლო სილ. ივანიაძის საქმეს გაარჩევს. მას აბრალებენ ბათუმის პოლიცმეისტრის სკვორცოვის მოკვლის განზრახვას და ჯარის კაცთა შეიარაღებულ წინააღმდეგობას 18 ოქტომბერს 1905 წ. ქ. ბათუმში. ბრალდებულს იცავს ივ. კაჩუხოვი.

† ა. ნ. ბახტაძე ამ დღეებში დ. ხონში გარდაიცვალა, მოწინავე ახალგაზდა, ჩვენი გაზეთების თანამშრომელი—კორესპონდენტი, ალექსანდრე ნ. ბახტაძე (ალი-ადერ).

**თავის დახრჩობის განზრახვა.** კვირას, 7 თებერვალს, დღის 12 საათზე, თფილისის მოქალაქე ო. ქაცახიანცი თავის დახრჩობის განზრახვით ვორონცოვის ხიდიდან მტკვარში გადახტა, მცურავებმა მას დროზე მიუსწრეს და დახრჩობას გადაარჩინეს.

**თფილისის პოლიცმეისტერმა** ბოქაულებს დაავალა, ქალაქის მცხოვრებთ აცნობონ, რომ დღეს, 9 თებერვალს, არტილერიის ჯარში საცდელი სროლა მოხდება.

**საზოგადოება „ლუისი“.** სომხურ საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენიდან წმინდა შემოსავალი 300 მ. უდრის.

**ახალი აფთიაქი.** თელავის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა მან ნება დართოს მას გახსნას თელავში მე-2 აფთიაქი.

**ბიბლიოთეკა სოფლათ.** სოფელ დოესში, (გორ. მაზრა) დაარსდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

**შავი ქვა.** ს. ნადარბაზევში, რკინის გზის სადგურის მახლობლათ, ბასილაშვილის მამულში, აღმოუჩენიათ შავი ქვა.

—

**ფოთი.** 2 თებერვალს ქალაქის გამგეობის დარბაზში მდ. მელიტონ კელენჯერიძემ წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის ცხოვრება და მოღვაწეობა“. ლექციაზე ხალხი ბლომათ მოვიდა. ლექტორი ჩვენის აზრით ხეირიან მკითხველათ ვერ ჩაითვლება, მაგრამ ხსენებულ საღამოს, ჩვეულებრივზე უკეთ კითხულობდა. მოკლეთ, ლექცია ორ უმთავრეს ნაწილიდან შესდგებოდა:—პირველი ბიოგრაფიული ნაწილი და მეორე—მოღვაწეობა. ლექტორმა ბევრი რამ გვამცნო მსმენელებს განსვენებულ გაბრიელის ცხოვრებიდან. ბიოგრაფიული ნაწილი მდიდარი იყო ცნობებით. მეორე მხარე ლექციისა, ქადაგებანი და სხვა, სუსტობდა. ლექტორმა აქ ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი გამოუშვა, ეს ის, თუ როგორი სიტყვა წარმოსთქვა მან ბატონყმობის გაუქმების დროს და როგორ შეხვდა ამას ჩვენი ბურჯნი, ბატონყმობის დამცველნი. საერთოთ, მდ. კელენჯერიძის ლექციიდან მკითხველმა გაბრიელ ეპისკოპოსის პიროვნება საკმაოთ გაიცნო, და ამ მხრივ ლექციაც საინტერესო იყო.

— ახლად „გაპოდრიაჩიკებულმა“ მარგანეცის მუშებმა იოსე რუხაძემ და ა. მოსეშვილმა 4 თებერვალს სოფლებიდან ჩამოიყვანა 50 კაცი, რომლებმაც უნდა დაიჭირონ გარეკილ მუშების ადგილი. ჩვენს დროში ყველაფერი შესაძლებელი ხდება, მაგრამ გვიკვირს სოფლელები რათ აყვნენ „გაპოდრიაჩიკებულ“ მუშების ფეხის ხმას. ნუ თუ მათ არ იციან და ვერ მიხვდენ, რომ რუხაძეს და კომპანიას თავისი მკვიდრი ამხანაგები არ დაუნდვიათ, ჩუმათ, ქურდულათ გაჰყიდეს ამხანაგები, რომ ისედაც გატყავებულ მუშების ზურგიდან ორიოდე გროში აეძროთ?! თუ ახალმოდის „პოდრიაჩიკებს“ საკუთარი ამხანაგები არ დაუნდვიათ, ნუ თუ, გგონიათ, იმ მოსულ 50 კაცს დაინდობს?! ჩვენი რჩევაა ახლათ ჩამოსულებმა გაიგონ თუ ვისთან აქვთ საქმე, მიხვდენ თავის შეცდომას და გაბრუნდენ ისევ სოფელში.

— 27 თებერვალს ადგილობრივ სავაჟო გიმნაზიის დარბაზში სავაჟო და საქალებო გიმნაზიების მშობელთა წრეს სასარგებლოთ გამართულ იქნება ბალი-მასკარადი.

---

## „ჯეჯილის რედაქცია“

სთხოვს ყველას, ვისაც წაღებული აქვს ეგნატე ნინოშვილის ძეგლისთვის ფულის მოსაგროვებლათ კვიტანციის წიგნაკები, დაუბრუნოს რედაქციას, როგორათაც წიგნაკები, ისე დღემდის მოგროვილი ფული, რომელთა მიღება გამოცხადებული იქნება ქართულ გაზეთში.

---

# უკანასკნელი ფოსტა

### საზღვარ-გარეთ

**ჟედის ავათმყოფობა.** საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჟ. გედი ამ ჟამათ მძიმე ავათაა. ნიმში მომხდარმა საფრანგეთის სოციალისტთა კონგრესმა გედს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა.

**ინგლისის კაბინეთის მდგომარეობა.** ინგლისის მთავრობა მეფისაგან გარანტიებს მოითხოვს, რომ ზედა პალატის „ვეტოს“ უფლება შეზღუდული იქნება. არ იციან შესაძლებლათ დაინახავს თუ არა მეფე ამ გარანტიების მიცემას, უამისოთ კი სამინისტროს კრიზისი აუცილებელია. არ იციან აგრეთვე მისცემენ თუ არა ირლანდიელი ნაციონალისტები ხმებს ლიბერალებს ბიუჯეტის დამტკიცების დროს. ირლანდიელების ხმას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლიბერალური სამინისტროსათვის, რადგან მათი საშვალებით შეიძლება საპარლამენტო უმრავლესობის შედგენა სათემო პალატაში.

ინგლისის პოლიტიკური მდგომარეობა ამ ჟამათ ფრიად სერიოზულია.

### ახლო-აღმოსავლეთი

**საუბარი მახ.-შევქეთ-ფაშასთან.** „ნეუე ფრაიე პრესეს“ სტამბოლის კორესპონდენტს მახმუდ-შევქეთ-ფაშა უნახულებია. ჟურნალისტს უკითხავს თავის მოსაუბრისათვის: რამდენათ მართალია ის, ვითომ ბოლგარიის ელჩს—სარაფოვს გამოცხადებიოს დიდი ვეზირისათვის, რომ ბოლგარია ნეიტრალურ მდგომარეობას დაიცავს, თუ ოსმალეთს რომელიმე სახელმწიფოსთან შეტაკება მოუხდაო?

გენერალ ისიმუსს უპასუხნია: ამის შესახებ მე არაფერი ვიცი. მაგრამ იმას არ დაგიმალავ, რომ ჩვენ იძულებული ვართ შევიარაღდეთ. ჩვენ ვამაგრებთ ადრიანოპოლს და ჩვენს ადგილზე სხვა სახელმწიფოც ჩვენსავით მოიქცეოდა. ჩვენ მხოლოდ თავის მოსაგერებელ ტაქტიკას მივსდევთ. თუ კრიტელები ათინაში დეპუტატების გაგზავნას არ დაიშლიან, ეს იმისი მომასწავებელი იქნება, რომ საბერძნეთს ომი სურს და ომი კიდეც იქნება. მფარველ სახელმწიფოებს არა ერთხელ განუცხადებიათ, რომ ისინი სცნობენ ჩვენს სუვერენიტეტს კრეტოსის კუნძულზე და მხარს დაუჭერენ მას. საბერძნეთს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია კრიტოსის ანექსია მოახდინოს“.

### რუსეთი

**საცოლეს გაყიდვა.** ქ. ვიტებსკში, ერთი ვაჭარი ებრაელის ოჯახში უცნაური ამბავი მოხდა. ებრაელს ორი ქალიშვილი (21 და 19 წ.) და ერთი ვაჟი ყოლია. ადგილობრივ საშვალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამთავეს საზღვარ გარეთ წასვლა გადაუწყვეტიათ სწავლის გასაგრძელებლათ. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მშობლებიც დათანხმებულან შვილების გადაწყვეტილებაზე. სამივე და-ძმანი ციურიხში ჩასულან და მშობლები ერთი წლის განმავლობაში სანუგეშო წერილებს იღებდენ შვილებიდან. უკანასკნელ წერილში უმცროსი ქალიშვილი მშობლებს ატყობინებდა, რომ ეტტა (უფროსი და) დაინიშნაო. საქმრო ყოფილა თფილისელი, ძველი სტუდენტი, რომელიც ციურიხში კურსს ამთავრებს. შემდეგ ვაჟს უცნობებია მშობლებისათვის, რომ არდადეგების დაწყების გამო ვიტებსკში წამოსვლას ვაპირებთო. „მე და უმცროსი და წამოსვლისას რომსა და პარიზს ვინახულებთ, უფროსი და თავისი საქმროთი ვენიდან თფილისში გამოივლიან და ვიტებსკში მოვლენო“. გაიარა რამდენიმე დღე და მშობლებს დეპეშა მიუღიათ: გამოგვიგზავნე 200 მანეთი. „ეგენი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი სწყდება.“ დეპეშას ხელს აწერდენ უმცროსი ქალიშვილი და ძმა. ორი დღის შემდეგ მშობლებს ცნობა მიუღიათ, რომ მათი უფროსი ქალიშვილი თფილისელ საქმროს ერთ-ერთ ეგვიპტის არამხანაში გაუყიდია. „რეჩის“ გადმოცემით, ქალიშვილის საძებნელათ უბედური დედა გამგზავრებულა. მას ქმრისათვის დეპეშით უცნობებია: ქალიშვილს მივაგენი, მაგრამ მის გამოსაყიდათ 30,000 მანეთს მთხოვენო“. უმცროსი ქალ-ვაჟი კი დღესაც უგზო-უკვლოთ არიან დაკარგული, და მათ შესახებ მშობლებს არავითარი ცნობა არ მიუღიათ.

**მოტყუებული მუშები.** რუსეთის გენერალურმა საელჩომ ხარბინში სამოსამართლო ბოქაულათ დანიშნა როტმისტრი ჩერნოვეცკი, რომელმაც „რეჩის“ სიტყვით 48,000 მანეთი გაფლანგა. ეს ფული საელჩომ გადაახდევინა მოიჯარადრე ფრანკს და მუშებისთვის უნდა გაენაწილებიათ. ჩინეთ-აღმოსავლეთის რკ. გზის მართველი რამდენჯერმე დაპირდა მუშებს ხვედრ ფულს დაგირიგებთო, მაგრამ ეს დაპირება დღემდისაც არ შეუსრულებიათ. ჩერნოვეცკის კი ფულების გაფლანგვისათვის გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტეს. დამშეულმა, უსახლ-კაროთ დარჩენილმა მუშებმა სახ. დუმის წევრს ჩილიკინს მიმართეს თხოვნით—იშუამდგომლოს გარეშე და ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ როგორმე დააკმაყოფილონ მუშები.

### სპარსეთი

**სპარსეთის ამბები.** ბენდერ-აბასში ინგლისის სამხედრო გემი მისულა; ამ ქალაქის მიდამოებში თარეშობენ ყაჩაღები, რომლებსაც ყველა სავაჭრო გზები ხელში აქვთ ჩაგდებული. თეირანში დაუტუსაღებიათ რეაქციონერთა ჯგუფი, რომელსაც ექიმი ისამ-ხანი მეთაურობდა. ეს ჯგუფი რეაქციონურ პროკლამაციებს ავრცელებდა. მთავრობას აღმოუჩენია გექტოგრაფი, დიდძალი მოწოდებები და მიწერ-მოწერა, რომელიც ნათელს ფენს ეხს-შახის გაიძვერულ მოქმედებას.

ფიდაების ჯგუფმა ითხოვა, გახსნილ იქნას სენატი. პარლამენტი მთხოვნელებს დაპირდა, რომ მიმდინარე საქმეების განხილვის შემდეგ ამ საკითხს განვიხილავთო.

ხმები დადის, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელენი გაფიცვას აპირებენ, რადგან ჯამაგირს ვერ ღებულობენო.

**ბელუჯების აჯანყება.** აღმოსავლეთ სპარსეთში დიდი მღელვარებაა. როგორც „რ. ს.“ ატყობინებენ, ბელუჯები შახსევანებივით აჯანყებას აპირებენ. თვითპყრობელობის აღდგენის სახით მათ უკვე დაიწყეს სოფლების ცარცვა-გლეჯა.

სპარსეთის მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო აჯანყებულთა წინააღმდეგ.

### ახლო აღმოსავლეთი.

**აჯანყება არაბეთში.** სტამბოლში ცნობები მიუღიათ არაბების აჯანყების შესახებ.

აჯანყება მოუმზადებიათ მექაში შეიხების სიეზდზე. არაბებმა ბევრი აფიცრები დაატუსაღეს და სიკვდილით დასაჯეს. ოსმალეთის მთავრობა საფიქრებელშია ჩავარდნილი, რადგან აჯანყებულთა დასამშვიდებლათ საკმარისი ჯარების გაგზავნა არ შეუძლია.

**აბდულ გამიდის ავათმყოფობა.** სტამბოლის წრეებში ცნობები მიუღიათ, რომ აბდულ-გამიდის ჯანმრთელობა სერიოზულათ შერყეულია. აბდულ-გამიდს საშინლათ აშლია ნერვები. ხმები გავრცელდა, რომ აბდულ-გამიდი ჭკუაზე შეიშალაო.

---

## ორიოდე სიტყვა ავლაბრის აფთიაქის შესახებ.

„ზაკავკაზიეს“ მე-13 ნომერში მოთავსებული იყო წერილი ბ. ავლაბრელისა, შემდეგი შინაარსით: 7 იანვარს, სგუბერნიო ექიმის თანაშემწემ ბ. ბროძელმა და ქიმიკოსმა კავკაზიმ ავლაბრის აფთიაქში, რომლის მოიჯარადარე ბ. ზოლოტნიცკია, რევიზია მოახდინეს. რევიზიის მოქმედებამ რამდენიმე წამლების დაბეჭდვა და გადატანა ქიმიური ანალიზის გასაკეთებლათ. ზემოთ მოხსენებული ინციდენტი გამოუწვევია ერთი პირის განცხადებას. ბ. ავლაბრელს ეს სულ შემთხვევით გაუგონია და სთხოვს სგუბერნიო ექიმთა განყოფილებას შეატყობინოს მართლა ჰქონია ავლაბრის აფთიაქში ადგი ფალსიფიკაციას თუ ცრუ ხმებს ავრცელებენ და თუ მართალია, იმ შემთხვევაში, საჭიროა სანამ საქმე გამოირკვევა სხვა აფთიაქიდან ვისარგებლოთ წამლებით.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ სგუბერნიო ექიმთა განყოფილებამ „ზაკავკ.“ მე-20 ნ-ში მოათავსა შემდეგი საპასუხო წერილი: მართალია ავლაბრის აფთიაქში რევიზია მოხდა და რამდენიმე წამლები კიდევაც დაბეჭდეს, თუმცა უბრალო შეხედვით ძნელი გამოსარკვევია წამლის ღირსება-ნაკლულევანება. ამიტომ საჭიროთ ვსცანით დაბეჭდილი წამლების ანალიზის გასაკეთებლათ გადაგზავნა.

დიახაც რომ აუცილებელ საჭიროებათ უნდა ეცნათ ხსენებულ წამლების ანალიზის გაკეთება, მით უმეტეს, რომ ამ აფთიაქიდან სარგებლობენ უმეტესათ ღარიბი ხალხი. წვითა და დაგვით ნაშოვნ გროშს წამლებში გადებულს, ფასი უნდა ქონდეს და არ უნდა ატყუებდენ. აგერ თითქმის ერთი თვე გადის მას შემდეგ არც აფთიაქის პატრონი და არც მოიჯარადრე ხმას არ იღებენ. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ საჭიროთ არ სცნეს მათ გაებათილებიათ ეს ბრალდება თუ სიმართლე ქონდათ, მაგრამ სჩანს პირი ეწვით, რადგან პირშიპირი უჭამიათ. საჭიროა ამ საქმეს ნათელი მოეფინოს და დროით გამოირკვეს მართლა აქვს ადგილი ასეთ ამბებს ამ აფთიაქებში თუ არა. გ. ბ—გი.

---

# პროვინცია

**ბათუმი.** 2 თებერვალს ბათუმის საზოგადოებას ამცნეს აფიშებით, რომ 3 თებერვალს აქაურ რკინის თეატრში თფილ. ქართული სცენის არტისტის გრ. კ. ი. მჭედლიშვილის მონაწილეობით და ადგილობრივ დრამატიულ ხელოვნების მოყვარე დასის დახმარებით წარმოდგენილი იქნება „ორი გმირი“ ვ. გუნიასი, „საცოლე ერთი საათით“ და ვოდევილი „მესტვირე“, დასასრულ კი ცეკვა და სიმღერა. ყველა აფიშაში ნაჩვენები უცვლელათ სისრულეში იქნება მოყვანილი და არავითარ შემთხვევაში ამ წარმოდგენის გადადება არ შეიძლებაო და თანაც დასძენენ, რომ ამ წარმოდგენაზე არც ერთი კონტრამარკა არ გამოდგება და არც ვინმეს მიეცემა, ვინც უნდა იყოს ისო. ბილეთები წინა დღეებშიაც საკმაო გაიყიდა ხელზე და იმ დღესაც ბევრმა იყიდა. ხალხი ჩვეულებრივზე მეტი შეიკრიბა. დანიშნულ დრომაც მოაწია, მარა დახე, წარმოდგენისთვის არც სამზადისი ყოფილა და არც არტისტები აღმოჩნდენთავის ადგილას. დარჩა საზოგადოება ხელცარიელი, ზოგი სირცხვილით ვეღარას ამბობდა და ბუზღუნით უკან ბრუნდებოდა. ნაწილმა კი ფულის დაბრუნება ენერგიულათ მოითხოვა, მარა კასაში აღარც ფული აღმოჩნდა—სულ რამდენიმე ბილეთი გაანაღდეს დიდი ვაი-ვაგლახით. დანარჩენნი კი იმით დააკმაყოფილეს, რომ ეს ბილეთები კვირას სომხის სოლაში გამოდგება, სადაც იგივე წარმოდგენა იქნება დადგმულიო. ასეთი საქციელი აქ მგონი მესამეხელ მეორდება და ყურადღება არავის მიუქცევია. ახლა კი ადგილობრივმა პოლიციამაც მიიღო ასეთ ვაჟბატონების წინააღმდეგ ზომები. მაგრამ, უკეთესია, თვით საზოგადოება დასდებდეს მსჯავრს ამ ვაჟბატონთა საქციელს.

დოსტი.

—

**საჯავახოს მხარე.** მთელი საჯავახოს მხარე ძველათ განთქმული ყოფილა კარგი ღირსების ღვინის მოსავლით. აქ ხარობდა საუკეთესო ჯიშის ადგილობრივი ვაზები: „ფსხილათობანი“, „ალადასტური“, „ჯანი“, „ჩხავერი“ და სხვანი. „საჯავახელი ღვინო“ განთქმული ყოფილა ყველგან და ამით დიდი შემოსავალი ქონდა თურმე ადგილობრივ მცხოვრებთ. სამოციან წლებიდან ღვინის მოსავალს თანდათან უკლია და ოცდა ხუთი წლის განმავლობაში თითქმის მთლად განადგურებულა ვენახები რაღაცმ სენით. ამ დროს შემოუტანიათ ახალი ჯიშის ვენა-

„ადესა“ (იზაბელა), რომელიც, თუმცა მდარე ღვინოს იძლეოდა, მაგრამ კარგათ ისხამდა და ღატაკ მცხოვრებთ გვარიან შემოსავალს აძლევდა. 1900 წლიდან „ადესის“ მოსავალმაც თანდათან იკლო და ახლა ძლიერ ნაკლებათ ისხამს და ზოგან მთლად გადაშენდა. ამ გარემოების მიხედვით ამ 5—6 წლის წინ საჯევახოს მხარეში ზოგიერთმა შეძლებულმა პირებმა სცადეს ამერიკულ ვაზზე დამყნილი დაბლარი ვენახების გაშენება და საბედნიეროთ ცდას უნაყოფოთ არ ჩაუვლია. დამყნილმა ვაზებმა ყველგან კარგად იხეირა და მოსავალმა კარგი მისცა ასეთ მეურნეებს. დამყნილი ვაზის სარგებლობაში მთელი ხალხი დარწმუნდა და თანდათან გაზშირდა საჯევახოს მხარეში ასეთი დაბლარი ვენახები. განსაკუთრებით წელს გასაოცარი ენერგიით მიჰყო ხელი ხალხმა სავენახე მიწების დამუშავებას და სწუხან, რომ საიმედო დამყნილი ვაზები ადგილობრივად არავის მოეპოება. სამწუხაროთ, ზოგიერთი ვაყნელი მევენახეები ხშირადატყუებენ ხალხს და უვარგისი ჯიშის ვაზს აძლევენ. კარგს იზამდენ ასეთი მეურნეები, რომ სახელს არ გაიტეხდენ, კარგი ჯიშის დამყნილ ვაზს მიაწვდიდენ ხალხს.

ზოგიერთ შეუგნებელ მუშების წყალობით ჩვენი მხარის წვრილ თუ მსხვილ მემამულეებს კაი დარი უდგებათ. შეუგნებელი მუშები თითო თითოდ მიიპარებიან მემამულეებთან და მუხლ-მოდრეკით ევედრებიან: „ამა და ამ ჩემს მეზობელს რომ საყანე აქვს, ის იმას ჩამოართვი წელს და მე გადმომეცი, უფრო გასარგებლებო“. მემამულეებიც სარგებლობენ ამ გარემოებით და თავიანთ პირობებს წამოუყენებენ.

— იანვრის შუა რიცხვებიდან ჩვენში გაზაფხულისებური დარებია, მრავალი ტყის ყვავილები, ია, ბაია, მარწყვი, შქერი და ელი ჰყვავის, გაზაფხულის ყვითელი პეპლები მხიარულად დაფარფაშობენ. ბევრ ალაგას ფუტკრებმაც გაიღვიძეს და მინდვრად ყვავილებს უალერსებენ. თუ ასე ერთხანს გასტანა მთელი ხეხილობა აყვავდება და უდროვოდ აყვავებას, რასაკვირველია, უნაყოფობა მოჰყვება და ეს სამწუხაროა. ხალხს ძლიერ ეშინია და ფიქრობს, რომ თუ მომავალ გაზაფხული შარშანდელებრ გვალვიანი იქმნა, ყველაფრის მოსავალი მცირე იქნება და ქვეყანა დამშივდება.

„შეკბენილი“.

—

ს. მათხოჯი. 14 იანვარს მოხდა მათხოჯის მომრიგებელ ამხანაგობის წლიური კრება. კრებას დაესწრო წევრთა ორი მესამედი. კრებამ ერთხმათ აირჩია თავმჯდომარეთ მღ. ი. ჩინჩალაძე და მდივნათ კლ. მელაძე. კრების გახსნისას გამგეობის თავმჯდომარემ გააცნო ამხანაგებს წარსული წლის 1909 წ. ანგარიშები. წარსულ წელს ამხანაგობას მოუგია 620 მ. 80 კ. ყოველ ხარჯებს გარდა. მდივანვა მოითხოვა ამხანაგობის გამგეობას წარსული წლების ანგარიშები, მაგრამ ეს თხოვნა დაუკმაყოფილებელი დარჩა. კრებამ დაადგინა მიეცეს წევრებს დივიდენდათ თუმანზე ორი შაური, მხოლოდ ნავაჭრიდან კი 4 კაპ. მანეთზე. გარდა ამისა კრებამ იქონია მსჯელობა სისიებზე, რომლებიც ამხანაგებზე არის და დაადგინა შემდეგი: მიეცეს 5 თვის ვადა ნისიის პატრონს და თუ ამ ვადაში ვერ შემოიტანს იმ შემთხვევაში „პაიდან“ გამოურიცხოს, ხოლო ვისაც „პაიზე“ ზედმეტი აქვს გატანილი, მას ის ზედმეტი უნდა გადახდეს ძალდატანებით და ამხანაგობიდანაც უნდა იქნას გაძევებული. დასასრულ კრებამ აირჩია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები. გამგეობის წევრებთა ისევ ძველები აირჩიეს, მხოლოდ სარევიზიო კომისიის ორი წევრი იქნა გამოცვლილი და მის ნაცვლათ ახლები აირჩიეს. ამის შემდეგ კრება დაიშალა.

დამსწრე.

—

ს. ბახვი. ორი-სამი წლის წინათ აქ არსებობდა „შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა“, რომელსაც ორმოცამდე წევრი ჰყავდა. ამხანაგობას ქონდა საჭირო თანხა, ჰყავდა გამგეობა, ხშირათ ხდებოდა კრებები და წევრები ეცნობოდენ საქმის მდგომარეობას. ერთი სიტყვით საქმე კარგათ მიდიოდა. ახლა გადის თითქმის ორი წელი, გამგეობას არც კრება მოუწვევია და არც ანგარიში გამოუქვეყნებია. მე მგონია ცუდი არ იქნება, რომ გამგეობამ ერთხელ მაინც შეკრიბოს წევრები და გაგვაცნოს ანგარიში.

— აქ არსდება ახლა ოთხ-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი, რომლის შენობის აგება უჯდება საზოგადოებას დაახლოვებით ათი ათასი მანეთი, ხოლო შემდეგში სასწავლებლის შენახვა ჯდება წლიურათ ხუთი ათასი მანეთი. ამ ფულებიდან სამოსწავლო მთავრობა პირდება სასწავლებელს წლიურათ დახმარებას სამი ათას მანეთს, ხოლო დანარჩენი ორი ათასი მანეთი უნდა იკისროს თვით საზოგადოებამ. სასწავლებლის შენობის აგებაში ბახვის საზოგადოებას დახმარებას უწევს ასკანის საზოგადოების ნაწილი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასეთ დროს, როდესაც ხალხი სხვადასხვა სახელმწიფო და დრამაფულების გადასახადების გამო, ეკონომიურათ გაძვალტყავებულია, სულით მაინც არ არის დაცემული და აღფრთოვანებული ეგებება ასეთ ძნელ, მაგრამ ფრიად სიმპატიურ საქმეს. არც ერთი საწინააღმდეგო სიტყვა არ წარმოთქმულა საზოგადოების ყრილობაზე, სიხარულით მოაწერეს ხელი პრიგოვორზე და გაგზავნეს სადაც ჯერ არს. აგრეთვე ზომებია მიღებული წიგნთსაცავ-სამკითხველოს გახსნის შესახებ და დაიმედებულიცვართ, რომ ცოტა ხანში გაიხსნება.

ბახველი.

## ჟურნალისტთა საზოგადოება.

—

კვირას, 7 თებერვალს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა თფილისის ჟურნალისტთა საზოგადოების კრება. კრებაზე სხვა მორიგ კითხვათა შორის გასარჩევი და მსჯავრ დასადები იყო ნაგურსკი-ყიფიანის ცნობილი საქმე „მოსყიდვის“ შესახებ. გამგეობამ წარუდგინა კრებას ყველა ის მასალები, რომლის შეკრება-შეგროვება მას მოეხერხებია. მოხსენების მოსმენის შემდეგ, კრების ნაწილმა მოითხოვა საქმეს არსებითათ შეხებოდენ და ამავე კრებაზედვე გამოეტანათ განაჩენი, რადგან ამისთვის ის საბუთებიც საკმარისია, რაც ჩვენს განკარგულებაში არისო. მეორენი ამტკიცებდენ, რომ ჯერ იმდენი საბუთი არ გვაქვს, რომ შეგვეძლოს გადაჭრილი აზრი გამოვსთქვათ, ამიტომ საჭიროა კითხვის საბოლოო გადაწყვეტა გადაიდოს, აირჩეს კომისია, მიენდოს მას კიდევ სხვა საჭირო ცნობების შეკრება და შემდეგ კრებას წარმოუდგინოს თავის დასკვნითო. ამ კამათის დროს ბ. ნაგურსკიმ წერილობითი განცხადება შემოგზავნა, სადაც ის აცხადებდა, რომ მას სურს წარმოუდგინოს ჟურნალისტთა საზოგადოებას მოხსენება, მარა იმ პირობით, რომ ეს მოხსენება აუცილებლათ დაისტამბოს „ნ. რეჩ“-ში და „ტიფლისტოკ“-ში. კრებამ უარჰყო ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რადგან ეს აღემატებოდა კრების კომპეტენციას. შემდეგ ბატონ ნაგურსკიმ თავის გასამართლებელი მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ მალე ის წერილობით ვრცელ მოხსენებას წარმოუდგენს კრებას. რამდენიმე შეკითხვებზე მან პასუხი აგო. ხოლო დანარჩენზე უარი განაცხადა—მეტად აღელვებული ვარ და არ ძალმიძს ყველა კითხვებზე პასუხის გაცემაო.

ამავე კრებაზე ბ. პ. გელეიშვილმა გაუზიარა კრებას რამდენიმე საყურადღებო კრება, საიდანაც სჩანს, რომ ბ. მირზოევს მისთვისაც მიუცია წინადადება, ბ. ლევან ყიფიანის შუა-კაცობით, მონაწილეობა მიეღო მის მიერ განზრახულ გაზეთში; მაგრამ პირადი მოლაპარაკების დროს მირზოევთან მას (გელეიშვილს) ეჭვი შეუტანია, რომ ბ. მირზოევს რაღაც სულ სხვა მიზანი აქვს სახეში, როცა ასეთი გაზეთის დაარსებას ფიქრობს და ამიტომ უარი განუცხადებია მის გაზეთში მონაწილეობაზე. მირზოევს უთქვამს მისთვის, რომ შენ სადაც გინდა, და როგორც გინდა ისე წერე, ჯამაგირს მაინც მოგცემო. ამ უკანასკნელ წინადადებას საბოლოოთ დაურწმუნებია ის, რომ აქ, რაღაც ისეთი წყვება, სადაც მას ადგილი არ აქვს და „გაუსვრელათ“ ვერ გავა და კიდევაც საბოლოოთ გაშორებია ბ. მირზოევს და მის პლანს.

მან ისიც განაცხადა, რომ ბ. ყიფიანის ერთ ერთი წერილი გადათარგმნილია და ბელგიაში გაგზავნესო.

ბ. ხატისოვმა თავის მხრით დაუმატა, რომ იმ ხელშეკრულობაში, რომელიც მირზოევ-ნაგურსკი-ყიფიანს შორის არის დადებული, სხვათა შორის ნათქვამია, რომ უსახელო საზოგადოებას უფლება აქვს ბ. მირზოევის მიერ გამოცემულ გაზეთის პირველ და უკანასკნელ გვერდებზე თავის განცხადებები მოათავსოს მეტათ შეღავათიან ფასებში, რაც გაზეთს ერთგვარათ უსახელო საზოგადოების ოფიციოზათ ხდისო.

ამ ცნობების მოსმენის შემდეგ კრებამ ხმის უმეტესობით გადაწყვიტა აირჩეს კომისია, რომელსაც დაავალა ორი კვირის განმავლობაში შეკრიბოს ყოველგვარი ცნობები ამ საქმის შესახებ და თავის დასკვნით საზოგადოებას წარმოუდგინოს.

## თეატრი და ხელოვნება

—

ქართული თეატრი. კვირას, 7 თებერვალს, მსახიობი ქალის მ. მდივანის საბენეფისოთ ქართულ თეატრში წარმოადგინეს შელდომ აშის პიესა „შურის ძიების ღმერთი“ და ივ. გომართელის ორ მოქმედებიანი ვოდევილი, „დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრი“. თფ. საზოგადოება იცნობს ამ პიესას, უნახავთ მესხიშვილის თამაში. მან მთელი თავისი მხატვრული ნიჭით დაგვიხატა სასოწარკვეთილი ადამიანის სულის კვეთება, რომელსაც აღარც ღმერთი სწყალობს, და ერთათ ერთი ამ ქვეყნიური იმედიც ხელიდან ეცლება. კარგი იყო ქ. მდივანი. დანარჩენებსაც არა უშავდა, მობენეფისეს ყვავილების თაიგულები და საჩუქრები მართვეს,

დასასრულ ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება ივ. გომართელის ვოდევილმა „დრამატიულ საზოგადოების წევრი“. აქ ნათლათ დახასიათებულია ჩვენი არტისტები, დრამატიული საზოგადოების საქმიანობა და ზოგიერთ „ნეუდაჩნიკთა“ შეხედულობა თეატრზე და არტისტებზე. ვოდევილი ძალიან კარგი რამ იქნებოდა, ცოტა გაჭიანურებული რომ არ იყოს.

## ე. ნინოშვილის ფონდი

—

1) «ჯეჯილის» რედაქციამ მიიღო თელავში შეგროვილი ნიკო ღუდუშაურისაგან 11 მან. 90 კაპ.

შემომწირველთა სია: კნ. ან. ნ. ჭავჭავაძისამ 1 მ. 50 კ.—თითო მანეთი: ივ. ბარკალაიასაგან, ნინო ჩოლოყაშვილისაგან, თამარა ჩიკვაიძისაგან, თამარა ყაზახაშვილისაგან;—ათ ათი შაური: დეკან. მიხ. ხელაშვილისაგან, გ. პაატაშვილისაგან, ალ. ბარნოვისაგან, მარიამ გოშაძისაგან, ქ. გამყრელიძესაგან, ქ. ნ. ცისკარიშვილისაგან, ელენე მიუკაშვილისაგან, კნ. ნინა ჭავჭავაძისაგან;—ორ-ორი აბაზი: სარდ. ალადაშვილისაგან, ილ. ორდეზიანისაგან; 35 კ. ვ. ბარნოვისაგან. 30 კ. ნ. მარკოზიშვილისაგან. 25 კ. სოფ. ღუდუშაურისაგან. 20 კ. შაქრო მარკოზიშვილისაგან. ფოსტის ხარჯი და დანარჩენი გადაიხადა თვითონ ღუდუშაურმა.

2) „ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო „მომავლის“ რედაქციისაგან 19 მ. 5 კ. შემომწირველთა სია დაბეჭდილი იყო გაზეთის მე-№ 52, 70 და 99-ში.

3) „ჯეჯილის“ რედაქციამ კიდევ მიიღო კაპიტონ სამსონიასაგან შეგროვილი სადგურ სადგურში რკ. გზ. მოსამსახურეთა შორის 5 მ. 5 კაპ.

შემომწირველთა სია: 1 მ. არტემ ქსოვრელშვილმა.—ათ ათი შაური: კაპ. სამსონიამ შ. მათითაშვილმა, სერგო ჭამკოტაძემ, ს. ბედიძემ.—ხუთ-ხუთი შაური: მარო სამსონი), მარიამ ქადაგთარისამ, მ. მაისაშვილმა, გ. მელაძემ.—თითო აბაზი: სარდ. გორდელაძემ, გარსო თვაურმა, გ. ოგანესოვმა 15 კ. გ. ტოპ.—ორა-ორი შაური: მელ. ჩიმჩალაძემ, ონიფ. ციცხვაიამ, გ. ხიზ.

4) „ჯეჯილის“ რედაქციამ კიდევ მიიღო ალექსანდროპოლიდან შეგროვილი ბ. ვირსელაძისაგან 22 მ.

შემოწირულთა სია: ავთანდილ კვიცაშვილისაგან 5 მ. თავ. გიორგი ამილახვრისაგან 5 მ. ოქტენერ ჩხეიძისაგან 5 მ. იოსებ ოქუზაძისგან 3 მ. ილია ფიცხელაურისაგან 2 მ. მღდ. ... მაწყუკატოვისაგან 1 მ. მღ. მიხეილ კრიჟოვისაგან 1 მ.

5) „ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო კიდევ ბორჯომში შეგროვილი ზაზა კიკნაძისაგან 41 მა.

სია შემომწირველთა: მელქო აკოფოვმა 3 მ. ანდრო და დიმიტრი დევიძეებმა 2 მ. ანტ. კოხანშვილმა, გ. მარგველაშვილმა, ელ. ქიძერიძემ, გ. ზურ. ხაჩიძემ, მალაქია გელაშვილმა, ბ. ჩადუნელმა, ნ. ტაბატაძემ, გ. ჩაჩანიძემ, ლკარ. ლომიძემ, სამ. სამსონაშვილმა, როსტომ ხაჩიძემ, ილ. ხუთაგურმა, დ. ხუციშვილმა, გ. ასანიძემ, ი. ტალახაძემ, ი. დათუნაშვილმა, ს. მთავარაძემ, მან. ტაბატაძემ, ი. ლომიძემ, გ. ბუხრიძემ, დ. თედიაშვილმა, გ. ტაბატაძემ, გ. გელაშვილმა, ი. გოგიბაშვილმა, ნ. გაბ. გელაშვილმა და პავლე ჩინჩალაძემ თითო მანეთი. პ. ლონდაძემ 75 კ. შ. ჩადუნელმა 70 კ. ს. გოგოლიშვილმა 60 კ. კ. გოგოლაძემ 60 კაპ. ნიკო იაკ. გელაშვილმა, ს. კაჯაიაშვილმა, რ. გელაშვილმა, პ. ბლიაძემ, ფ. ტაბატაძემ, პ. კაჭუნაშვილმა, მ. ამ-ნათაშვილმა, ს. ტალახაძემ, პ. გოგოლაძემ, ზ. ჯაფიაშვილმა, გ. გობიანმა, დ. ჩადუნელმა, და ს. ლომსაძემ ათ-ათი შაური. ტატო ბლიაძემ 45 კ. ნ. გოგლაძემ, ბ. შერგელაშვილმა და ნ. ხრიკაძემ თითო აბაზი. ბესო გოგალაძემ 60 კ. სულ 41 მ.

6) «ჯეჯილის» რედაქციამ კიდევ მიიღო გლ. ყიფიანისაგან 4 მ. შეგროვილი დ. ბორჯომში ერისტო ჩარკვიანისაგან და ფილო დანელიასაგან თავის ამხანაგ დღიურ მუშათა შორის.

სია შემომწირველთა: გიო შუბ—ძე, ფ. დანელია, ილ. კიკაძე, პ. სულიაშვილი, იერ. და დომენტი კუპრაძეები, ი. კირილე და ეფ. პაქსაშვილები, ერ. და ალ. ჩარკვიანები, დ. ასპანიძე, ადრო და ვანო ლონდარიძეები, პ. გიორგაძე და ალ. აბაიაძე თითომ 25 კაპ.

სულ 103 მან. დღემდის იყო 2078 მან. 56 კ. შედგა 2181 მ. 56 კ.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

თქვენს პატივცემულ გაზეთ „ახალ სხივის“ პირველ ნომერში მოთავსებული იყო სადგურ მცხეთიდან კორესპონდენცია, რომელიც მეხება მე, და რომელშიაც გადმოცემულია, რომ მე ვცემე და მძიმეთ დავჭერი თავში მესამე კლასის მებუფეტე. სიმართლის აღსადგენათ ამ ინციდენტის შესახებ გთხოვთ მოათავსოთ მახლობელ ნომერში შემდეგი ჩემი შენიშვნა. 29 დეკემბერს, 1909 წელს, მცხეთის მთავრობის მამასახლისმა და მე მივიღეთ ცნობა, რომ ვითომ გაქურდეს ბუფეტის მსახური შავლაძის ოთახი. თანახმად შავლაძის და მისი «ადვოკატის» ივ. გეგეჭკორის, მესამე კლასის ბუფეტში ლაქიათ მსახურის ჩვენებისა, მე და მამასახლისმა გავჩხრიკეთ ორი ბინა, სადაც ვერაფერი ვერ აღმოვაჩინეთ. ივანე გეგეჭკორმა განაცხადა, რომ კიდევ უნდა რამდენიმე ბინა გაჩხრიკოთო. მაშინ წინადადება მივეცი, რომ მე უნდა ოქმი შევადგინო მეთქი და სისხლს სამართლის 940 მუხლი გამოვუცხადე. ოქმში შევიტანე ვისზედაც ეჭვი ქონდათ, თან ავუხსენი 940 მ-ს ძალა (თუ ვინიცობაა ტყუილი გამოდგა იმათი ეჭვი, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი ტყუილი ცნობის მიცემისათვის). ივ. გეგეჭკორმა დაიწყო ყვირილი, ზედმეტია ოქმის შედგენა და ხელის მოწერაო, ვისზედაც ჩვენ გიჩვენეთ, თქვენ მოვალე ხართ გაჩხრიკოთ და დაატუსაღოთო. ამ ნიადაგზე ჩვენ მოგვივიდა შელაპარაკება და გეგეჭკორმა შეურაცხყოფა მომაყენა, მე ვერ მოვითმინე და პასუხი გავეცი, მაგრამ საქმე იქამდის კი არ მისულა რომ თავში დამეჭრა. ყოველი ჩემ მიერ ზემოხსენებული დამტკიცდება გამოძიებით.

მიხეილ ბუხრაძე.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე


# განცხადება

კბილის
საექიმო კაბინეტი
იოხველისა
(იგაფრთხილდით კბილებ‘‘ს ავტორის, ფსი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა. მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლი გვერდით. (100—18)

1-ლი კავკასიის დეპო თესლეულობისა
ლარმესი
არსებობს 1872 წლიდან
№ 10 მიხაილოვის პროსპ. № 10
იყიდება
ახალი მოსავლის
თესლეულობა
გამოცდილი კარგის თვისებებისა:
ბოსტნისა, | ბალახისა და
ყვავილებისა, | ხეებისა.
და საუკეთესო საკვები კანარეიკებისათვის არეული გირვანქა ღირს 25 კაპ. (10—2)

ქ. ბათუმში
ავეჯეულებისა და ჭურჭლეულობის
მაღაზია
კ. ა. მაჭარაძისა და კ. ქეიშვილის
დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.
მაღაზიაში მუდამ არის დიდის არჩევით ყოველგვარი, ცარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭლი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ღუმელები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის სკამი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.
მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, ● ფასები ხელმისაწვდომია ● ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს. (0—6—31)

წლიწადი 1910 წლისათვის მეორე.
მიიღება ხელის მოწერა
ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე
მათრახი
და სალამური


ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს ავუსტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ
პრემიათ გაეგზავნება
ახალი კრებული
ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.
წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.
მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები.
ჟურნალის ფასი მთელი წლის სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე. ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.
ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.
ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе.


სტამბა „შრომა“, რუსის ქუჩა № 3.